

**გზამკვლევი**  
**სამეთაურო-საშტაბო კურსზე ჩასარიცხი**  
**კანდიდატებისთვის**



2017

თბილისი

## სარჩევი

### 1. კურსის მიმოხილვა:

- 1.1. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი აღწერილობა;
- 1.2. პროგრამის მიზანი;

### 2. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხვის/ამორიცხვის წინაპირობა:

- 2.1. შესარჩევი კანდიდატები;
- 2.2. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხვა;
- 2.3. მისაღები გამოცდა;
- 2.4. გამსვლელი ქულა;
- 2.5. საგანმანათლებლო პროგრამიდან ამორიცხვა;

### 3. შეფასების სისტემა;

### 4. საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულის სწავლის

- 4.1. ცოდნა და გაცნობიერება;
- 4.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- 4.3. დასკვნის უნარი;
- 4.4. კომუნიკაციის უნარი;
- 4.5. სწავლის უნარი;
- 4.6. ღირებულებები;

### 5. დასაქმების სფეროები;

### 6. სამეთაურო საშტაბო კურსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები მოსამზადებელი საკითხები:

#### 6.1 ტესტის პირველი ნაწილისათვის მოსამზადებელი საკითხები;

- 6.1.1 ტაქტიკა;
- 6.1.2 ტაქტიკური ნიშნები და დავალებები;
- 6.1.3. სამხედრო ტოპოგრაფია;
- 6.1.4. საბრძოლო მომზადების ორგანიზება;

#### 6.2 ტესტის მეორე ნაწილის, პირველი პუნქტის მოსამზადებელი საკითხები;

##### 6.2.1 დაგეგმვის პროცესი;

#### 6.3 ტესტის მეორე ნაწილის მეორე პუნქტის მოსამზადებელი საკითხები;

##### 6.3.1. სამანევრო-

- 6.3.2. ლოჯისტიკა;
- 6.3.3. საინჟინრო;
- 6.3.4. კავშირგაბმულობა;
- 6.3.5 არტილერია;
- 6.3.6. დაზვერვა;
- 6.3.7. პერსონალის მართვა;
- 6.3.8. ავიაცია;
- 6.3.9. საჰაერო თავდაცვა;
- 6.3.10. საზღვაო;

## 1. კურსის მიმოხილვა:

### 1.1. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი აღწერილობა;

პროგრამის დასახელება: სამეთაურო საშტაბო კურსი

კოდი: CSC7/17-18 (C-სამეთაურო, S-საშტაბო, C-კურსი, 2017-2018 სასწავლო წლის მეშვიდე გამოშვება)

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა: 44 კვირა.

### 1.2. საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები;

ა. სამხედრო ოპერაციების საფუძვლები

ბ. ლიდერობა და მენეჯმენტი

გ. ომის თეორია და სამხედრო ხელოვნების ისტორია

დ. თავდაცვა და ეროვნული უსაფრთხოება

### 1.3. პროგრამის მიზანი;

შეიარაღებული ძალების მაიორის და ვიცე-პოლკოვნიკის წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეებს, სპეციალური წოდების მქონე ოფიცრებს და თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სამსახურებიდან წარმოდგენილ შესაბამისი გამოცდილების მქონე სამოქალაქო პირებს მისცეს თანამედროვე სამხედრო განათლება და განავითაროს მათი სამეთაურო და საშტაბო უნარ-ჩვევები ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე, რომლებიც თავიანთი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით მზად იქნებიან ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე დაგეგმონ და აღასრულონ ოპერაციები და სამხედრო კამპანიები ნებისმიერ გარემოში და პირობებში.

## 2. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხვის/ამორიცხვის წინაპირობა:

### 2.1. შესარჩევი კანდიდატები:

2017-2018 წლის სამეთაურო საშტაბო კურსის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩასარიცხად საჭირო წინაპირობას აკადემიური და პროფესიული განათლების შესახებ განსაზღვრავს თავდაცვის მინისტრის სპეციალური მითითებები.

### 2.2. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხვა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან სამხედრო მოსამსახურეები (მაიორი და ვ/პოლკოვნიკი) და თავდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სამოქალაქო პირები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების საფუძველს წარმოადგენს მისაღები გამოცდის შედეგები. საგანმანათლებლო პროგრამაზე თითოეული გვარეობის წარმომადგენლებისათვის გამოყოფილია სხვადასხვა რაოდენობის შესაბამისი კვოტა, გამოცდაზე ერთი გვარეობის კანდიდატებს შორის მიღებული ქულებით საუკეთესო ჩაირიცხება აღნიშნული გვარეობის კვოტის ფარგლებში. ამასთან, კანდიდატმა მისაღებ გამოცდაში უნდა დააგროვოს 60(სამოცი) ქულა და მეტი, რომ მოხდეს მისი ჩარიცხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე.

### **2.3. მისაღები გამოცდა:**

სამეთაურო საშტაბო კოლეჯის, 2017-2018 წლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად კანდიდატმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა. მისაღები გამოცდის კითხვები ძირითადად მოიცავს საკითხებს, რომლებიც შესაბამისი გვარეობის კაპიტნის საკარიერო კურსებზე ისწავლება.

მისაღები გამოცდის ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: ტესტის პირველი ნაწილი ყველასთვის ერთნაირია, მიუხედავად იმისა თუ რომელ გვარეობას მიეკუთვნება კანდიდატი, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს კითხვებს, რომლითაც თითოეული გვარეობის წარმომადგენელი თავისი სპეციალობის ცოდნაში შეფასდება.

ტესტის პირველი ნაწილი შედგება 50 საკითხისგან, რომელიც მოიცავს კითხვებს: ტაქტიკიდან, გრაფიკული ნიშნებიდან, ტოპოგრაფიიდან, საბრძოლო მომზადების ორგანიზების საკითხებიდან.

ტესტის მეორე ნაწილი ასევე შედგება 50 კითხვისაგან და ყველა გვარეობის წარმომადგენლისთვის განსხვავებულია. იგი თავის მხრივ ასევე იყოფა ორ პუნქტად; პირველი პუნქტი, რომელიც მოიცავს 30 კითხვას, განსაზღვრავს კანდიდატის ცოდნას სპეციალობიდან გამომდინარე სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა საფეხურზე მონაწილეობისას, მისი კომპეტენციების ფარგლებში. ხოლო მეორე პუნქტი შედგება 20 კითხვისაგან, რომლის მიზანია შემოწმდეს კანდიდატის ცოდნა გვარეობების მიხედვით, უშუალოდ მის სპეციალობაში.

დიდი ნაწილი კითხვებისა იქნება დასმული შეკითხვის სახით, რომელსაც ექნება ოთხი სავარაუდო პასუხი, აქედან კანდიდატი ვალდებული იქნება შემოხაზოს ერთი სწორი პასუხი. ნაწილი კითხვებისა შეიძლება იყოს განმარტებითი სახით, რომელსაც ექნება ორი სავარაუდო პასუხი დადებითი ან უარყოფითი, აქედან კანდიდატი ვალდებული იქნება შემოხაზოს ერთ-ერთი მათგანი. მესამე ფორმა კითხვებისა კანდიდატისგან მოითხოვს პასუხების გრაფიკულ ან ტექსტურ გამოსახვას, როგორცაა: სამხედრო გრაფიკული ნიშნები, ქვედანაყოფის ნიშნები, შეიარაღების სისტემების ნიშნები, გრაფიკული კონტროლის ზომები, განლაგების ნიშნები, ტაქტიკური დავალებები და სხვა.

### **2.4. გამსვლელი ქულა:**

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩასარიცხად განსაზღვრულია მისაღები გამოცდის გამსვლელი შედეგის ზღვრული მაჩვენებელი 60 (სამოცი) ქულა. აღნიშნულ პროგრამაზე გვარეობის კვოტის ფარგლებში დაიშვება კანდიდატი, რომელსაც თავის გვარეობაში რეიტინგით ექნება სხვებზე მაღალი მაჩვენებელი.

### **2.5. საგანმანათლებლო პროგრამიდან ამორიცხვა:**

საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობისას ნებისმიერი სასწავლო კურსის დამამთავრებელი გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში მსმენელს ეძლევა აღნიშნული გამოცდის ერთხელ გადაბარების საშუალება. იმ შემთხვევაში თუ მსმენელი ვერ გადააბარებს კურსის დამამთავრებელ გამოცდას, მოხდება მისი საგანმანათლებლო პროგრამიდან ამორიცხვა.

მსმენელის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის, თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათების 5% და მეტის გაცდენის შემთხვევაში, მსმენელის საგანმანათლებლო პროგრამიდან ამორიცხვის საკითხს განიხილავს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭო.

### 3. შეფასების სისტემა:

სამეთაურო-საშტაბო პროგრამის მსმენელის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 8 სექტემბრის #1259 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია“ შესაბამისად; მსმენელთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სხვა სახის საქმიანობას საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მსმენელთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა). დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 40%. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 51%. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მსმენელს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

#### **შუალედური გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, აღდგენა შესაძლებელია გამოცდიდან არაუმეტეს 5 დღეში;**

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ტარდება გამოსაშვები გამოცდა. გამოსაშვები გამოცდა გულისხმობს მსმენელების მიერ ინდივიდუალურად გაერთიანებული ოპერატიული დაგეგმვის პროცესის გამოყენებით ოპერატიული დაგეგმვის საფეხურების გავლას წინასწარ მიცემული სცენარის მიხედვით და მოიცავს წერით და ვერბალურ (ზეპირ) კომპონენტებს, რაც ფასდება საერთო ჯამში 100 ქულით (წერითი ნაწილი - ოპერატიული გეგმის შემუშავება -80 ქულა, ზეპირი ნაწილი - ოპერატიული გეგმის პრეზენტაცია -20 ქულა). პროგრამის დასრულების შემდეგ გამოითვლება მსმენელის საბოლოო რეიტინგული ქულა, რომელიც წარმოადგენს მოდულების/სასწავლო კურსების შეფასებებისა და გამოსაშვები გამოცდის შეფასების საშუალო შეწონილ ქულას - GPA (თითოეული მოდულის/სასწავლო კურსის შეფასება მრავლდება მოდულის/სასწავლო კურსის საკონტაქტო საათების რაოდენობაზე, გამოსაშვები გამოცდის ქულა მრავლდება საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი საკონტაქტო საათების რაოდენობაზე. მიღებული ნამრავლები იკრიბება და იყოფა საკონტაქტო საათების ჯამზე.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- შეფასების 91-100 ქულა - A (ფრიადი);
- მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა - B (ძალიან კარგი);

- მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა - C (კარგი);
- მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა - D (დამაკმაყოფილებელი);
- მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა - E (საკმარისი).

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა - FX (ვერ ჩააბარა);
- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები - F (ჩაიჭრა).

მსმენელთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

#### 4. საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულის სწავლის შედეგები

##### 4.1. ცოდნა და გაცნობიერება.

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- გეოპოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საფუძვლები, თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების მთავარი მიმართულებები;
- სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების მნიშვნელობა;
- ოპერატიული დიზაინის და ოპერატიული ხელოვნების კონცეფცია;
- სამანევრო, საცეცხლე და ძალთა შენარჩუნების საკითხები.

კურსდამთავრებული გააცნობიერებს:

- სხვადასხვა თეორიებს, საფუძვლებს და პრინციპებს რაც დაკავშირებულია უშუალოდ ლიდერობასთან;
- კონფლიქტების ბუნებას და მის გავლენას ეროვნულ უსაფრთხოებაზე;

##### 4.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული ცოდნა გამოიყენოს სხვადასხვა ეპოქის ომების განხილვის დროს, ასევე ისტორიული ომების ხასიათის გათვალისწინებით თანამედროვე ომების უკეთ გაგებისათვის;
- გამოიყენოს მიღებული ცოდნა რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარების შეფასებისას;
- მიღებული ცოდნის გამოყენებას მსოფლიო პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაციის ანალიზისას;
- ახსნას თანამედროვე მსოფლიოს გლობალური ტენდენციები;
- კამპანიების დაგეგმვის პროცესების გამოყენებას დეტალური ოპერატიული დირექტივების შესამუშავებლად, რომლებიც საჭიროა სრული სპექტრის ოპერაციების წინასწარ მომზადებული ან კრიზისულ სიტუაციებში მოქმედებების დაგეგმვისათვის;
- წინამძღოლობისთვის საჭირო ლიდერობის კომპეტენციების (წინამძღოლობა, განვითარება, შედეგის მიღწევა) პრაქტიკაში გამოყენებას, ასევე ლიდერობის მოთხოვნის მოდელის (ყოფნა, ცოდნა, კეთება) საფუძვლიანად გააზრებასა და გამოყენებას;

- შესაბამისი ფსიქოლოგიური პროცესის აღწერას, რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივი ადამიანი ხდება ჯარისკაცი;
- საბრძოლო სტრესის პირველი ნიშნების ამოცნობას და ამ სტრესის ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად დროული ზომების მიღებას;
- ეთიკური პრობლემის გადაჭრის მოდელის გამოყენებას სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე ეთიკური დილემის დროს.
- მეთაურობის არსის გაგებას, მეთაურობის და ლიდერობის „კომპეტენციის, უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის მოდელის“ გამოყენებას სამხედრო მოქმედებების დროს.

#### 4.3. დასკვნის უნარი.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- გააკეთოს დასკვნები, გეოპოლიტიკური პროცესების სივრცულ-დროით ასპექტებზე, რომლის დროსაც გაითვალისწინოს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე არსებული გეოპოლიტიკური ვითარება, დემოკრატიული კონტროლის, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები;
- ოპერატიული დაგეგმვის პროცესის, სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის და ეროვნული თავდაცვის ორგანიზების პრინციპების ცოდნას და გაცნობიერებას;
- სწავლების დროს გამომუშავებული უნარების და ომის თეორიების საფუძვლების გათვალისწინებით, ომის ბუნების გაგებას, სოციალურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, მორალურ, ეკონომიურ და ტექნოლოგიურ ფაქტორების ანალიზს, რომელიც აყალიბებს ომს და მის შედეგებს;
- ანტიკური, კლასიკოსი და თანამედროვე სამხედრო თეორეტიკოსების ერთმანეთთან დაკავშირებას და განსაზღვროს მათი რელევანტურობა თანამედროვე რეალობასთან;
- დააკავშიროს თითოეული თეორია დღევანდელობას და დაადგინოს მათი შესაბამისობა რეალობასთან.

#### 4.4. კომუნიკაციის უნარი.

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულ თემატიკაზე დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და საკუთარი პოზიციის დასაბუთება;
- ორგანიზება გაუკეთოს და წარმართოს გუნდური მუშაობა;
- პირადი მაგალითით, წინამძღოლობის, თავისი ცოდნის დემონსტრირების გზით საკუთარი აზრების ნათლად ჩამოყალიბებისა და არგუმენტირების უნარი;
- იყოს გახსნილი განსხვავებული იდეებისა და მოსაზრებების მისაღებად;
- ეთიკური დილემის დროს ეთიკური სისტემის გამოყენება, როგორც კომუნიკაციის კარგი საშუალება;
- ლიდერობასთან დაკავშირებული საკითხების პროფესიული ენით განხილვა.

#### 4.5. სწავლის უნარი.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სწავლის პროცესის თანმიმდევრულად წარმართვას და შემდგომი სასწავლო მოთხოვნების დამოუკიდებლად განსაზღვრას;
  - საკუთარი ცოდნის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას;
- სწავლის პროცესში კონკრეტული ნაკლოვანებების განსაზღვრას და მათ აღმოსაფხვრელად ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მომზადებას.

#### 4.6. ღირებულებები.

კურსდამთავრებულს ექნება ქვეყნის ინტერესების და ფასეულობების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა, მას ჩამოუყალიბდება მოთხოვნილება ახალი ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. კურსდამთავრებულს ასევე განუვითარდება:

- ღირებულებები, რომლებიც აუცილებელია საქართველოს შეიარაღებული ძალების უფროსი ოფიცრებისთვის მათზე დაკისრებული მოვალეობების წარმატებით შესასრულებლად;
- ძირითადი ღირებულებები, როგორცაა, ერთგულება, უანგარო სამსახური, პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული.
- გააზრებული და გათვინციობიერებული მნიშვნელობა პასუხისმგებლობის, უფლებამოსილების და კომპეტენტურობის, როგორც მშვიდობიანობის ასევე საბრძოლო მოქმედებების დროს, მისი შემდგომი გამოყენების მიზნით.

#### 5. დასაქმების სფეროები:

- ბატალიონის მეთაური; ბატალიონის შტაბის უფროსი; ბატალიონის S 3;
- ბრიგადის შტაბის უფროსი, ბრიგადის შტაბის შესაბამისი სამსახურის უფროსი;
- ოპერატიული დაჯგუფების, შესაბამისი სამმართველოს განყოფილების უფროსი, უფროსი ოფიცერი;
- გენერალური შტაბის შესაბამისი განყოფილების უფროსი ოფიცერი;

#### 6. სამეთაურო საშტაბო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები საგამოცდო ტესტისათვის მოსამზადებელი საკითხები;

**6.1.** ტესტის პირველი ნაწილისათვის მოსამზადებელი საკითხები (ყველა გვარეობის წარმომადგენლებისათვის **50** კითხვა):

##### 6.1.1. ტაქტიკა:

ა. ლიტერატურა (ტაქტიკა FM 3-90. ოპერაციები FM 3-0).

- ამაძ-დს ფაქტორები;
- საბრძოლო ფუნქციები;
- თავდასხმითი ოპერაციები;
- თავდაცვითი ოპერაციები;
- რეკოგნოსირების, უსაფრთხოების და ტაქტიკური დამხმარე დავალებები;



### 6.1.2. ტაქტიკური ნიშნები და დავალებები:

ა. ლიტერატურა: ოპერატიული ტერმინები და გრაფიკული ნიშნები (FM 1-02).

- სამხედრო სიმბოლოები;
- ქვედანაყოფის სიმბოლოები;
- ტექნიკისა და შეიარაღების სიმბოლოები;
- კონტროლის ზომების გრაფიკული ნიშნები;
- ტაქტიკური ამოცანის დავალებების გრაფიკული ნიშნები;
- სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესის გრაფიკული ნიშნები;

### 6.1.3. სამხედრო ტოპოგრაფია:

ა. ლიტერატურა - სამხედრო ტოპოგრაფია 2009 წელი.

- საკოორდინატო ბადის ხაზებს შორის მანძილები;
- წერტილოვანი კოორდინატები;
- ფერები რუკაზე;
- წერტილის მდებარეობის სიზუსტე რვა ციფრიანი კოორდინატით;
- კოორდინატების დადგენისათვის რუკის წაკითხვის წესი;
- რუკის მასშტაბი;
- რუკაზე ამარტული ადგილები;

### 6.1.4. საბრძოლო მომზადების ორგანიზება:

ა. ლიტერატურა - სახმელეთო ძალების საბრძოლო მომზადების ორგანიზების სახელმძღვანელო I და II ნაწილი.

- ქვედანაყოფში საბრძოლო მომზადების სისტემა და მეთაურთა როლი მისი სწორად წარმართვის მიზნით;
- ბრძოლაზე ორიენტირებული საბრძოლო მომზადება, საბრძოლო მომზადების ძირითადი პრინციპები;
- საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად აუცილებელ დავალებათა ნუსხა და მისი მნიშვნელობა;
- საბრძოლო მომზადების მართვის ციკლი მისი თითოეული ეტაპის (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) მნიშვნელობა;
- საბრძოლო მომზადების დაგეგმვის პერიოდები;
- სახმელეთო ჯარებში გამოყენებადი დროის მართვის სხვადასხვა სისტემა;
- სამეტაპიანი საბრძოლო მომზადება („ხოხვა” „სიარული” „სირბილი”);

ბ. ქვეითი ბრიგადის ძირითად ქვედანაყოფებში ვითარებაზე ორიენტირებული საბრძოლო მომზადება (ქვეითი, ჯავშანსატანკო, საარტილერიო).

- საბრძოლო მომზადების სახეობები, მათი არსი და დანიშნულება;
- საორგანიზაციო მითითებები საბრძოლო მომზადების ორგანიზების შესახებ და საბრძოლო მომზადების გეგმა-კალენდარი;

გ. მოქმედების შემდგომი მიმოხილვის სახელმძღვანელო.

- შეფასება, მომზადების ხარისხის განსაზღვრა, მოქმედების შემდგომი მიმოხილვა;

### 6.2. ტესტის მეორე ნაწილის პირველი პუნქტისათვის მოსამზადებელი საკითხები

(სხვადასხვა გვარეობის წარმომადგენლებისათვის განსხვავებული 30 კითხვა, რომელიც განსაზღვრავს კანდიდატის ცოდნას სპეციალობიდან გამომდინარე სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა საფეხურზე მონაწილეობისას, მისი კომპეტენციების ფარგლებში).

### **6.2.1. დაგეგმვის პროცესი:**

ა. ლიტერატურა - სასწავლო სახელმძღვანელო „ოპერაციების პროცესი FM 5-0, დანართი B.”

ბ. ლიტერატურა - კავშირგაბმულობა, ნაწილი I - სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესი კავშირგაბმულობის ოფიცრებისთვის. ს.წ. 6-40.

- სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესი;

გ. ლიტერატურა - ბრიგადის საინჟინრო უზრუნველყოფა, ნაწილი 2

- საინჟინრო შეფასება;

**6.3. ტესტის მეორე ნაწილის მეორე პუნქტისათვის მოსამზადებელი საკითხები (20 კითხვა უშუალოდ სპეციალობაში გვარეობების მიხედვით).**

### **6.3.1. სამანევრო:**

- კონცეპტუალური ცოდნა სხვა გვარეობების შესაძლებლობების შესახებ;

### **6.3.2. ლოჯისტიკა:**

ა. ლიტერატურა - შ/მ ლოჯისტიკის კონცეფცია.

- მომარაგების კლასები და ქვეკლასები;
- ტექნიკური მომსახურების საფეხურები;

ბ. ლიტერატურა - ვადადაწესებული მოხსენებების ტაბელი.

- ინფორმაციის მიწოდების პერიოდულობა საბრძოლო მასალების შესახებ;
- ინფორმაციის მიწოდების პერიოდულობა საწვავის შესახებ;
- ინფორმაციის მიწოდების პერიოდულობა შეიარაღებისა და ტექნიკის შესახებ;
- ინფორმაციის მიწოდების პერიოდულობა სურსათის შესახებ;
- ინფორმაციის მიწოდების პერიოდულობა აღჭურვილობის შესახებ;

გ. ლიტერატურა - 01.07.2013 წლის ს.თ.მ ბრძანება # 685.

- ტექნიკის ექსპლუატაციის ჯგუფები;
- მოტორესურსების წლიური ხარჯვის ლიმიტები;
- თანამდებობის პირების სამსახურეობრივი ავტომანქანების წლიური ლიმიტები;

დ. ლიტერატურა - ლოჯისტიკური უზრუნველყოფა FM 4-0.

- ლოჯისტიკის სფეროები;
- ლოჯისტიკის ფუნქციები;
- დანართი F;

### **6.3.3. საინჟინრო:**

ა. ლიტერატურა - ინჟინრებისათვის აღნიშნულ საკითხებში მოსამზადებლად გზამკვლევის თან ერთვის პრეზენტაციები და ვიდეო გაკვეთილები.

- საინჟინრო ჯარების ფუნქციები;
- ინჟინრები სრული სპექტრის ოპერაციებში;
- საინჟინრო ფუნქციები საბრძოლო გარემოში;
- ინჟინრების როლი საბრძოლო ფუნქციებში;

- საინჟინრო ქვედანაყოფების ორგანიზაცია და დანიშნულება;
- საინჟინრო ქვედანაყოფების მართვისა და მხარდაჭერის ურთიერთობების ძირითადი ასპექტები;
- საინჟინრო ქვედანაყოფების გამოყენების პრინციპები;
- საინჟინრო ქვედანაყოფების საინჟინრო დაგეგმვა და საინჟინრო შეფასება;

#### 6.3.4. კავშირგაბმულობა:

ა. ლიტერატურა - რადიოტალღების გავრცელება, გადამცემი ხაზები და ანტენათა თეორია. ტ.ს

- რადიოტალღების გავრცელება;
- ელექტორმაგნიტური ველის თეორია;
- ანტენათა თეორია;

ბ. ლიტერატურა - კავშირგაბმულობა ნაწილი I - სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესი კავშირგაბმულობის ოფიცრებისათვის. ს.წ. 6-40.

- მართვის პუნქტები და მათი კავშირგაბმულობის კვანძები;
- კავშირის უსაფრთხოება;

გ. ლიტერატურა - კავშირგაბმულობა ნაწილი II - ტექნიკური რადიოსადგურები მათი გამოყენება შეიარაღებულ ძალებში. ს.წ. 6-40-1.

- რადიოკავშირის წარმოება რთულ კლიმატურ და რელიეფურ პირობებში;

დ. ლიტერატურა - რადიოსარელეო კავშირის საფუძვლები. ტ.ბ. 6-01.31-1.

- რადიოსარელეო კავშირის ხაზის მახასიათებლები;
- რადიოსარელეო კავშირის ორგანიზების მეთოდები;
- რადიოსარელეო კავშირის დაგეგმვის საფუძვლები;

#### 6.3.5. არტილერია:

ა. ლიტერატურა - საარტილერიო ბატალიონის ტაქტიკა და პროცედურები ს.წ. 3-01.34.

- დავალებები და არტილერიის ორგანიზება ბრძოლისათვის;
- სამეთაურო იერარქია;
- არტილერიის ტაქტიკური ამოცანები;
- არტილერიის საცეცხლე ამოცანები;
- გადაადგილების და პოზიციებზე განლაგების საკითხები;
- საარტილერიო საცეცხლე მხარდაჭერა(შეტევივით/თავდაცვით ოპერაციებში და სხვა ტაქტიკური ოპერაციებისათვის);

ბ. ლიტერატურა - საარტილერიო ქვედანაყოფის მართვის პუნქტები წ.ც. 3-01.54.

- მართვის პუნქტები, მათი გადაადგილება და განთავსება;
- ინფორმაციის მართვა;

გ. ლიტერატურა - საარტილერიო ცეცხლის მომსახურების პროცედურები დ.პ. 3-01.54.

- არტილერიის ეფექტურობა;
- საარტილერიო ცეცხლის მოთხოვნა;

დ. ლიტერატურა - საარტილერიო საცეცხლე მხარდაჭერის საკოორდინაციო, მიზნის დაგეგმვის და მიზანზე ზემოქმედების პროცედურები დ.პ. 3-01.50-05.

- საცეცხლე მხარდაჭერის კოორდინაციის საკითხები;
- საცეცხლე დაგეგმვის ტერმინები და სიმბოლოები;

### 6.3.6. დაზვერვა:

ა. ლიტერატურა - დაზვერვა ს.წ. 2-01. 50-01.

- დაზვერვის პროცესი სრული სპექტრის ოპერაციებში;
- სპეციალური სადაზვერვო ღონისძიებები;
- დაზვერვის პროცესის დავალებები;
- ადამიანური რესურსებით დაზვერვის ფუნქციები;
- დაზვერვის, თვალთვალისა და რეკოგნოსცირების ოპერაციები;
- კონტრდაზვერვის როლი და ფუნქციები;
- დაზვერვა და ოპერატიული გარემო;
- სადაზვერვო დავალებები;
- ოპერატიული გარემოს ასპექტები;

ბ. ლიტერატურა - ბრძოლის ველის სადაზვერვო მომზადება ს.წ. 2-01. 50.

- ბრძოლის ველის სადაზვერვო მომზადება ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე;
- ბრძოლის ველის სადაზვერვო მომზადება არასაომარ ოპერაციებში;
- როგორ წარვმართოთ ბრძოლის ველის სადაზვერვო მომზადება;

### 6.3.7. პერსონალის მართვა:

ა. ლიტერატურა - გაერთიანებული შტაბის უფროსის ბრძ. #211 06 აპრილი 2011წ.

- სამხედრო პირადი შემადგენლობის შეფასება;

ბ. ლიტერატურა - საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება #715, 24 ნოემბერი 2011წ.

- სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობები (სსს), შეიარაღებული ძალების საკარიერო გვარეობები და გვარეობათა ძირითადი სპეციალობები;

გ. ლიტერატურა - საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება #76, 22 დეკემბერი 2014 წ.

- უწყებრივი მედლები;

დ. ლიტერატურა - საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #321, 7 მაისი 2005წ.

- სახელმწიფო ჯილდოები;

ე. ლიტერატურა - საველე, საშტაბო სწავლებების, საომარი მდგომარეობისა და მშვიდობიანობის დროს J/G/S-1-ის სამსახურებში პირადი შემადგენლობის აღრიცხვიანობის ფორმები და მათი წარმოების ინსტრუქცია. გენერალური შტაბის უფროსის ბრძანება MOD 31500000238, 20 მარტი 2015წ. დანართი #1 თანდართული ფორმებით.

- აღრიცხვიანობა ომიანობის დროს;

ვ. ლიტერატურა - საველე, საშტაბო სწავლებების, საომარი მდგომარეობისა და მშვიდობიანობის დროს J/G/S-1-ის სამსახურებში პირადი შემადგენლობის აღრიცხვიანობის ფორმები და მათი წარმოების ინსტრუქცია. გენერალური შტაბის უფროსის ბრძანება MOD 31500000238, 20 მარტი 2015წ. დანართი #2 თანდართული ფორმებით.

- მართვის ცენტრში J/G/S-1-ის სტანდარტული მუდმივმოქმედი პროცედურები;

### 6.3.8. ავიაცია:

ა. ლიტერატურა - მოიერიშე შვეულმფრენების ოპერაციები FM 1-112.

- მოიერიშე შვეულმფრენების ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანები;
- შეტევა;
- რეკოგნოსცირება;
- უსაფრთხოება;
- გადაადგილება კონტაქტისაკენ;

ბ. ლიტერატურა - მრავალ-მიზნობრივი შვეულმფრენების ოპერაციები FM 1-113.

- მრავალ-მიზნობრივი შვეულმფრენების საფუძვლები;
- ბრძოლის მართვა;
- საჰაერო საიერიშო ოპერაციები;
- საჰაერო გადაადგილების ოპერაციები;
- მართვისა და კონტროლის ოპერაციები;
- დაზარალებულთა ევაკუაციის ოპერაციები;
- საბრძოლო ძებნა და გადარჩენა;
- ნაღმებით ბრძოლა ჰაერიდან;
- სტაბილურობისა და მხარდაჭერის ოპერაციები;
- საბრძოლო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

გ. ლიტერატურა - საჰაერო სადესანტო ოპერაციები FM 90-4.

- საჰაერო სადესანტო ოპერაციები;

### 6.3.9. საჰაერო თავდაცვა:

ა. ლიტერატურა - დ.პ. 3-02.56 საჰაერო თავდაცვის საბრძოლო გამოყენების საფუძვლები 2012 წ.

- საჰაერო თავდაცვის შემადგენლობა და დანიშნულება;
- რადიოტექნიკური, საზენიტო-სარაკეტო და საზენიტო-საარტილერიო ქვედანაყოფების საბრძოლო გამოყენების საფუძვლები;
- საჰაერო თავდაცვის მართვის საფუძვლები;
- მმართველობისა და მეთაურების მუშაობა საჰაერო თავდაცვის მართვისას;
- საბრძოლო მოქმედებებისთვის მომზადება;
- საჰაერო თავდაცვისთვის საბრძოლო მოქმედებებზე გადაწყვეტილების შინაარსი და სტრუქტურა;
- საჰაერო თავდაცვის მართვისათვის დასამუშავებელი საბრძოლო დოკუმენტები;
- საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფების საბრძოლო მოქმედებების მეთოდები, ძირითადი ფორმები;
- ჰაერსაწინააღმდეგო ბრძოლის ტაქტიკური ხერხები და ძირითადი წესები;
- საბრძოლო მოქმედებები საჰაერო მოწინააღმდეგის დარტყმების მოსაგერიებლად;
- საზენიტო-სარაკეტო ქვედანაყოფების საბრძოლო გამოყენება;
- მარშის შესრულება;

ბ. ლიტერატურა - დ.პ. 3-01.20-02, შვეულმფრენებთან ბრძოლა 2010 წ.

- შვეულმფრენებთან ბრძოლის საშუალებები და ძირითადი ხერხები;

### 6.3.10. საზღვაო:

ლიტერატურა:

- ა. საქართველოს კანონი საზღვაო სივრცის შესახებ;

- ბ. სახომადო წესდება;
- გ. წყალზედა ხომადების საბრძოლო მომზადება;
- დ. ხომადის მართვა;
- ე. საზღვაო ძალების მევახტე ოფიცრის ცნობარი;
- ვ. ზღვაში გემების შეჯახების არიდების საერთაშორისო წესები 1972;

საკონტაქტო პირები:

სამეთაურო საშტაბო კოლეჯის მეთაური

ვ-პ/კი. დავით ჩხეტიანი

E-mail: [dchkhetiani@mod.gov.ge](mailto:dchkhetiani@mod.gov.ge) ტელ: 577 19 40 69

სამეთაურო საშტაბო კოლეჯის მეთაურის მოადგილე

ვ-პ/კი. გიორგი ლეკვეიშვილი

E-mail: [glekveishvili@mod.gov.ge](mailto:glekveishvili@mod.gov.ge) ტელ: 577 19 07 85